საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030653846980921

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/802 **04 / მარტი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ
მოადგილეს ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში განხილულ იქნა 16/02/2021 წელს შემოსული წერილი (N 513-02-01-10-2-202102121518), რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტის ხიხანის ხეობის გენერალური გეგმის კონცეფციის საბაზისო მონაცემების საბოლოო ვერსიის განხილვას და რეკომენდაციების მომზადებას.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (მუხლი - 23). სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის მოთხოვნების შესაბამისად, დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დანდევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართოს **სკრინინგის განცხადებით** და წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი (იგი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ) მისი შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, და შესაბამისად, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
რაც შეეხება, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #260 დადგენილების „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ (მუხლი - 18), სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში - შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტში ხიხანის ხეობაში ტურისტულ-სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის საბაზისო მონაცემების საბოლოო ვერსიის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება მოხდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე